

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ბრძოლა — პიროვნული თავისუფლებისათვის
პიროვნული თავისუფლების ბრძოლა — ეროვნული თავისუფლებისათვის

ეროვნული
ბრძოლისათვის

საქართველოს
ეროვნული
ბრძოლისათვის

საქართველოს სახალხო ფრონტი

№ 30 (86)

31.VII — 6 VIII, 1992

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ცხინვალსა და მის მიდამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ცხინვალის საქართველოს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორიის მკვლევარის, პროფესორ შ. მესხიას აზრით ცხინვალის წინაქრისტიანულ ხანაშიც მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.

მიხედვით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში 14 მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია, რომელთაგან უმთავრესი ქალაქებია შხოლოდორი — თბილისი და გორი. დანარჩენი 12 „მცირე ქალაქებს“ წარმოადგენენ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცხინვალი. მე-

გამაგრებული. როგორც პროფ. შ. მესხიას აღნიშნავს, გვიანფეოდალურ საქართველოში ქალაქებს, რომელთაც ციხის გარდა იცავდა ქალაქის კედლები ან მისი მსგავსი სასიმაგრო ნაგებობანი (თხრილები, კოშკები) მიეკუთვნებოდა თბილისი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ცხინვალი.

და და მის მოვალეობას სხვა მოხელე ასრულებდა. სწორედ ამის შესახებ მეტყველებს 1766 წლის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომლის თანახმად სამოურავო გამოსადგებს მეფე და ცხინვალის ციხისთავი იყოფდნენ.

ოდის ლიტერატურული წყაროებით და საბუთებით ჩვენთვის ზედმიწევნით ცნობილია მისი ეროვნული შემადგენლობა.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ

როგორც ჩანს, ამ უკვე აღნიშნული დროიდანვე ცხოვრობდა ქართველები, ებრაელები და უმრავლესობა სომხები. მათი სხვა ეროვნებად წარმოადგენდნენ აგრეთვე არაბები, თურქები, სპეციფიკური ეროვნების მქონე ხალხები.

ცხინვალის მოსახლეობა

„გუგულის კვერცხი ესოდენ ურცხვად ჯერ არ შობილა ჩვენში!..“

მუხრან მაჭავარიანი

ანზორ თოთაძე

სახელწოდება „ცხინვალი“ წარმოადგება მცანარა რცხილიდან. კველ ქართულში ამ მცანარას რცხილას უწოდებდნენ, ამიტომ კველ ქართულ წყაროებშიც ცხინვალი მოიხსენიება ქრცხინვალის სახელწოდებით.

1344 წლის ერთ-ერთ სიგელში იგი მოხსენიებულია როგორც ვაჭრებით დასახლებული პუნქტი, რასაც უეჭველია, მისი ადგილმდებარეობაც უწყობდა ხელს, ხოლო როგორც ქალაქი, ცხინვალის პირველად 1392 წლის მცხეთურ სიგელში იხსენიება. ისტორიული წყაროების ცნობებით XIV—XVI საუკუნეებში ცხინვალის დასახლებული იყო

18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ალ. ამილახვარი თავის „გეორგიანულ ისტორიაში“ ცხინვალს ყოველთვის ქართლის ქალაქად მოიხსენიებს და გორის შემდეგ მეორე ადგილს აკუთვნებს. ამ პერიოდში იგი სამეფო ქალაქად ითვლებოდა.

ცხინვალს, როგორც ქალაქს, ჰქონდა სასიმაგრო ნა-

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბატონიშვილი ვახუშტის გადმოცემით

გიორგი სააკაძე იყო „მოურავი ტფილისისა, მცხინვალისა და ღუაღუთისა“.

ამასთან ცხინვალის მოურავობა მეფეთაგან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ბო-

და ბევრ სხვა დოკუმენტსა და საბუთსაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ცხინვალის სხვა ქალაქებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მე-18 საუკუნისა და უფრო ადრეული პერიოდის ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობე-

როგორც XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე, ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, „დიდის ლიახვის კიდეზეც არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილ-ჰაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“ („ქართლის ცხოვრება“, ტომი IV, თბ., 1973, გვ. 3709). ან ლოგურ ცნობას ვხვდებით ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ვახტანგ მეექვსის „დასტურდამალშიაქ“. კერძოდ, ცხინვალის მოსახლეობა ვაღდებული იყო მეფისათვის ყოველწლიურად ეძღვრებოდა 28 კოკა, დაემუშავებინა ბატონის ვენახი და

დოკუმენტური სხრილი თვალსაჩინოებისათვის. თუ როგორ მოგვიჩვენებს გოლო ასი წლის მანძილზე ნამდვილი განვითარება!

	1886 წ.	1922 წ.	1926 წ.	1959 წ.	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.
ქართველი	1135	1436	1920	4652	5475	5584	6905
უკრაინელი	1953	1651	1772	1649	1475	652	396
სომეხი	744	765	827	860	768	712	734
ოსი	—	613	1152	12432	20846	25319	31537
რუსი	—	64	114	1583	1180	1737	1836
სულ	3822	4543	5818	21641	30311	34791	42333

სვეტიცხოვლის მონასტრის ყმებით. მცხეთის კათალიკოსს მე-18 საუკუნეშიც ჰყავდა ცხინვალში ყმა ვაჭრები. ბატონიშვილ ვახუშტის

გებობანი. სათანადო საბუთებში მოიხსენიება „ქცხინვალის ციხე“ და „ქრცხინვალის გაღაფანი“, რომელიც საგანგებო თხრილითაც ყოფილა

ძებული ჰქონდათ ამილახვართა სათავადო გვარის წევრებს ამილახვარიშვილებს, თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა ცხინვალს მოურავი არ ჰყავ-

ბი თითქმის არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1770 წლის აღწერით ცხინვალში 700 კომლი ცხოვრობდა. სამაგიეროდ სხვადასხვა პერი-

სხვ. ამასთან მათ „ზოგჯერ კვერნა შეეწერება. ქართველმა, სომეხმა, ურიამ უნდა

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ცხინვალის მოსახლეობა

გაბრძანება

გამოიღოს; რაც იქ მოსავალი მოვა იმათვე ჩამოიტანონ“ (დასტურდამალი“ მეფის ვახტანგ მეექვსისა, თბილისი, 1888, გვ. 122).

ამასთან ცხინვალის და საერთოდ მთელი სამხრატლო ქართულ წყაროებში ყოველთვის განიხილება, როგორც ქართლის განუყოფელი ნაწილი. მაგალითად, ამის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი შემდეგ აღნიშნავს: „იდგარა მეფე ლუარსაბ (საუბარია ქართლის მეფე ლუარსაბ II-ზე, რომელიც 1606—1614 წლებში მეფობდა — ა.თ.) ქცხილვანს, რამეთუ უამად მოვლიდიან თუისთა ქუეყანათა ყოველთა“ („ქართლის ცხოვრება“, ტომი IV, თბ., 1973, გვ. 421).

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, თუ რამ განაპირობა ცხინვალის ძართველუბითა პრტაქტუალური და სომხების შეღარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ებრაელები, მდებარეობდა ჩრდილო კავკასიიდან, ქართლიდან და ქვემო რაჭიდან მომავალ გზებზე და ამდენად თავიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს. სომხებსა და ებრაელებს კი, როგორც ცნობილია, საქართველოს ქალაქებში ძირითადად ხელთ ეყრათ ვაჭრობის საქმე.

არც მთელი მაცხრამეტი საუკუნის მანძილზე შეცვლილა ცხინვალის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა. როგორც მოსახლეობის აღწერები და სხვა დოკუმენტები ადასტურებენ, ცხინვალში ისევ მხოლოდ და მხოლოდ ქართველები, ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ.

მართალია, ამ პერიოდში იგი უკვე ქალაქად არ მოიხსენიება, მაგრამ ცხინვალის ყველაგან აღინიშნება როგორც ქართული სოფელი. კერძოდ, ამას აღნიშნავენ XIX საუკუნეში საქართველოში მცხოვრები რუსი მოხელეებიც.

საუკუნის პირველ ნახევარში რუსი გენერლები მრავალგზის მიუთითებდნენ ოსების მიერ ქართული სოფლების დარბევასზე, ძარცვა-გლეჯასზე და ქართველების მკვლელობასზე. ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად ისინი გადაუდებელ საჭიროებად თვლიდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. გენერალი ტორმოსოვი 1809 წელს ავაზაკობისათვის ხუთ ოსს უსჯვის სიკვდილით დასჯას ჩამოხრჩობით. უფრო მოგვიანებით, 1824 წელს გენერალი ხონევი უპატაკებს გენერალ ერმოლოვს: იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მიეცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცველებისაგან იარაღით, ისე როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან. ამიტომ ქართველს მძარცველის მკვლელობისათვის კანონის წესით დევნას ნუ დაუწყებთ. ჩავაგონოთ, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის. ქართველები მხოლოდ ვალდებული ვაგზადლოთ ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, კერძოდ, რომ ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმებისა და ძარცვის დროს (Акты археологической комиссии. T.IV. Тиф. 1870. стр. 460.)

როგორც ჩანს, ისე ხშირი იყო ოსების მხრიდან გორის მაზრაში მკვლელობები, ძარცვა და ადამიანთა ტყვედ წაყვანა, რომ გენერალი ახვერდოვი გენერალ ტორმოსოვისადმი გაგზავნილ პატაკში საჭიროდ თვლის ოსებს, რომლებსაც ესაჭიროებათ სავაჭროდ ჩასვლა ქართულ სოფლებში და განსაკუთრებით ქართულ სოფელ ცხინვალში, მიეცეთ სპეციალური ბილეთი თავად რევაზ მანაბლისა და ერისთავისაგან (Акты кавказской археологической комиссии T.IV. Тиф. 1870, стр. 460).

ამრიგად, რუსი ბენარლები ცხინვალს ქართულ სოფლად ასახელებენ, სადაც ოსებს სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლა აპრობული კიონდათ.

ახლა თუ მოსახლეობის აღწერის კონკრეტულ მონაცემებსაც მოვიშველიებთ, ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა უფრო ნათელი გახდება. კერძოდ,

1886 წლის სოფლის სივრცის მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა 3832 კაცი; აქედან არც ერთი ოსი:

1135 — ქართველი, 1953 — ებრაელი და 744 — სომეხი (Свод данных о населении Закавказского края. Тиф. 1893).

ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა იცვლება მხოლოდ 1920-იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით კი 1922 წლის შემდეგ, როდესაც შეიქმნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი და დედაქალაქად ცხინვალის უბოძეს. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მიხედვით ცხინვალში უკვე ძირითადად მთის სოფლებიდან ჩამოსული 613 ოსი ცხოვრობდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ აღწერის მიხედვით ცხინვალის ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოსულია და მათგან ერთ მესამედს ერთი წელიც არ უცხოვრია ცხინვალში (სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწილი I, ნაკვეთი, 2 ტფ. 1923, გვ. 36). სულ ქალაქ ცხინვალის მოსახლეობა 4543 კაცს უდრიდა და მისი მოსახლეობის უმეტესობას ისევ ქართველები (1436 კაცი), ებრაელები (1651 კაცი) და სომხები (765 კაცი) შეადგენდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოდიან ოსები ცხინვალში დიდი რაოდენობით მუდმივ საცხოვრებლად. ამას განსაზღვრავს უკვე ცხინვალის, როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქში მოთავსებული მმართველობითი ორგანოების ეროვნული კადრებით დაკომპლექტებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად გადაქცევის საჭიროება. უკვე 1926 წელს ცხინვალის მოსახლეობა 5918 კაცს შეადგენდა. აქედან ქართველი 1920 კაცს, ოსი — 1152, ებრაელი — 1772 და სომეხი 827 კაცს უდრიდა. მართალია ამ აღწერის მიხედვითაც ცხინვალში ოსებს ქართველები ჯერ კიდევ დიდად ჭარბობენ, მაგრამ

შემდეგ წლებში რაოდენობრივი თანაზარდობა ქართველებსა და ოსებს შორის სწრაფად იცვლება ოსების სასარბელოდ.

უკვე 1959 წელს ცხინვალში 4652 ქართველი და 12432 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს მხოლოდ 6905 ქართველი და 31537 ოსი. ასე რომ, „დიდი ლიანხის კიდევ“ მდებარე უძველესი ქართული ქალაქი

თითქმის მთლიანად გაოსდა. აქ რაოდენობრივი თანაზარდობის მკვეთრ დარღვევასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტობაც, რომ ცხინვალის, როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქი, თითქმის მარტოოდენ ოსური კულტურის ცენტრად გადაიქცა.

ამჟამად ოსი ემსტრამისტიანის „მოღვაწეობისა“ და ნალოვნურად შექმნილი ეთნოკონფლიქტის შედეგად ცხინვალის მოსახლეობის დაიძვრა და მისთვის კეთილმეზობლობაც გაუწყვიდა. თუ იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით დავამთავრებთ, „ეხლაც ქართველობას... სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურთ, ითხოვს მხოლოდ, რომ მას მიუწყონ იმავე საწყაულით, რომლითაც იგი უწყავდა სხვებს“.

ახლა ცხინვალის რეგიონში

ქანი უსტოროილნი უკან ბრუნდებიან

ოთხშაბათს, 29 ივლისს გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა. სხდომაზე საუბარი იყო საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების შესახებ.

ბუნებრივია, დარბაზის სხდომაზე დიდი დრო დაეთმო დასავლეთ საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების განხილვას.

დარბაზის წევრთა მოთხოვნაა ოფიციალურად იქნას გამოძიებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ იმ პირთა ქმედება, რომელთაც უკიდურესად დაძაბეს და გაამწვავეს სამეგრელოს რეგიონში ისედაც დაძაბული ვითარება.

ბატონ ნოდარ ნათაძის წინადადებით დარბაზმა განიხილა და კამათის შემდეგ მიიღო პოლიტიკური განცხადება შემოთქმულთან დაკავშირებით.

დარბაზზე იმსჯელეს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, აღინიშნა, რომ საქართველოში, როგორც ოპოზიციურ, ისე მმართველ ძალებში არიან ადამიანები, რომელთაც არ სურთ არჩევნების ჩატარება, რადგან ამ უკანასკნელთ კარგად უწყვიან, რომ არჩევნების შემთხვევაში შესაძლოა ისინი სავარძლების გარეშე დარჩნენ.

დარბაზის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ყველა ღონე უნდა იხმაროს სსფ-მ, რათა პირადი მიზნებით მომქმედმა ძა-

ლებმა საწადელს ვერ მიადწიონ და 11 ოქტომბერს ნამდვილად შედგეს დემოკრატიული არჩევნები, რაც დღევანდელ ვითარებაში ხსნის გზად ისახება.

სხდომის დასასრულს კამათი გამოიწვია ერთმა საკითხმა. კვლავ მიიღონ თუ არა სახალხო ფრონტის წევრებად ის პირები, რომელნიც თავის დროზე სახალხო ფრონტიდან გადაბარგდნენ „მრგვალ მაგიდაში“ ან სსფ-ს ოპოზიციის ყოფნის ეამს, უბრალოდ დასტოვეს იგი და რომელნიც ითხოვენ უკან დაბრუნებას.

დარბაზმა მიიღო ნოდარ ნათაძის წინადადება, სახალხო ფრონტის ყოფილი წევრების საკითხი განხილულ იქნას ინდივიდუალურად, პიროვნებებს რომელთაც აქვთ ღირსებები და ერისა და ქვეყნისათვის საჭირო ადამიანები არიან, არ შეიძლება მოვითხოვოთ თვითგვემა, არ უნდა განვეწყოთ მათდამი რევანშისტული სურვილით, მათ უფლება აქვთ დაბრუნდნენ სახალხო ფრონტში, მხოლოდ არა მის მმართველ ორგანოში, არამედ რიგით წევრებად, ახლად გაწევრიანების უფლებით. მაგრამ ეს ეხება, არა იმ ხალხს რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ყოფილი პარლამენტის აგრესიული უმრავლესობის ცნობილ ტრიუკებში.

ასე რომ, ნაკლებად შეცთომილნი უკან ბრუნდებიან... დარბაზმა ამით დაასრულა სხდომა.

მაკითხველთა წერილებიდან

მამო ნოდარ! მე შენი ახლობელი ვარ, იმდენად ახლობელი, რომ შემიძლია შენგან გელაპარაკო. ჩემს პიროვნებას არ ვამხელ ორი რამის გამო: პირველი ისაა, რომ უფლებამა მაქვს ამის და მეც „ბოროტად“ ესარგებლობ ამ უფლებით, მეორე კი ისაა, რომ ამჯერად არ მინდა, ვინმეს შევარდნაძის ამალაში ყოფილიყო მეოცნებე ადამიანი ვეგონო.

ერთხანს რედაქციისთვის ვარ ნამუშევარი და კარგად ვიცი ე.წ. შემოსული წერილების ბედი — მათ, ჩვეულებრივ, არაფერი კითხულობს დაბეჭდვის თვალსაზრისით. ჩემი ეს ნაკალმევი გამონაკლისი უნდა იყოს — იგი უსათუოდ უნდა დაბეჭდოს!

ბოლოს და ბოლოს ჩემს პიროვნებას მაინც იოლად დაადგენ — მე, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, არ ვაპირებ კლასიკური პონორარის გადარიცხვას არანაირ ფონდში (ჩემი სიღარიბის გარდა, ასე იმდენად ვიჭკვე, რომ ვეშაქმა უწყის, სად მიდის ის გადარიცხული ფული...), ასე რომ, მოვალე ვარ პონორარის ასაღებად, შენც მხნავ და თავიდან „გავიცნობთ“ ერთმანეთს. მანამდე კი აი, რა მინდობდა მეთქვა შევარდნაძის მორიგი გაკვეთილის თაობაზე!

როცა სამაჩაბლოში ცეცხლის შეწყვეტის ცნობილი გეგმა იქნა წამოყენებული, მან, როგორც იცო, კამათი გამოიწვია. ადგა ამ დროს შევარდნაძე და განაცხადა, მთელ პასუხისმგებლობას ამ გეგმის გამო მე პირადად ვიღებ ჩემს თავზე! აი, ეს მიმართა შევარდნაძის მორიგი გაკვეთილად — დროულ (იქნებ ხელაღ დაგვიანებულ), აუცილებელ გაკვეთილად!

გინახავს, საქართველოში ვინმე საკუთარ თავზე იღებდეს პასუხისმგებლობას? ან ვინმე შევარდნაძის „წინაპარი“ წამაღწეოდა აცხადებდა, თუ ეს ასე არ მოხდა, ამისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება ამასო, იმა-

სო, იმათ, ვფელასო — და არავითარ შემთხვევაში — მეო!

ტერორისტული ორგანიზაცია რომ ტერორისტული ორგანიზაციაა — რომელიმე „შვი ჯიქი“ ან „პესბოლოლა“ — ისიც კი, მორიგი აქციის ჩატარებისთანავე, რეაქს და მთელ ქვეყანას ატყობინებს, აქციის გამო

ყველას, საკუთარი თავის გარდა — კრემლს, ბუშს, მიტერანს, ოპოზიციას, კრიმინალურ ინტელიგენციას...

შევარდნაძემ — ჩემი ბრალიაო! თუ — ჩემი ბრალიცააო!

ეს — გაკვეთილია, საჭირო და დროული გაკვეთილი. ვიმეორებ — იქნებ დაგვიანებულიც, რადგან იმან, რაც წალენჯიხაში მოხდა, გამოირიცხული არაა, საქართველოს ისტორიაში ჩაუხედავ კაცს სულაც გული გაუტეხოს.

გახსოვს? — როგორ არის უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებული „ლოცვანი“: გარკვეულ უბანზე გემების გატარების სპეციალისტი, რომელმაც კარგად იცის ნაოსნობის ადგილობრივი პირობები...

ვინ იცის შევარდნაძეზე უკეთ ნაოსნობის ადგილობრივი პირობები — სად თავებელია, სად — მეჩენი, სად — წყაქვეშა კლდეები და რიფები! ვის შეუძლია მასზე მარჯვედ ჩვენი ეროვნული ზომილდის გაყვანა

რედაქტორისთვის: „მნათე“, მართებულია თქვენი პოზიცია, მაგრამ, არ არის ამ თემაზე (ნოდარის, ნოდარის და „კომპანიისთვის“) დაუსწრებელი ლექსის კითხვის საჭიროება.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფენომენის მნიშვნელობას სხვაზე ნაკლებად არ ვგრძობთ, მაგრამ თუ სახელმწიფოებრივი რანგის პრობლემის გადაწყვეტას განსხვავებული აზრით ვაჩნდა, განა მისი გამოუქვეყნებლობა სწორი იქნებოდა?

აზრი, თუნდაც მცდარიც რომ გამოდგეს იგი, იმდენად არის საინტერესო, რომ მისით მეორე, საღი აზრის კომპარატივა კიდევ ერთხელ მოწმდება. (არადა, დარწმუნებული ხართ, რომ არსწორია იმ წერილთა პათოსი, რომელიც მხედველობაში გავქვთ?)

შევარდნაძის მორიგი გაკვეთილი

პასუხისმგებლობას ჩვენ ვიღებთო ჩვენს თავზე!

ასევე იქცევა რომელიც გნებავს მაფია!

ეს ჩვენთანაა, არაფერი რომ არ კისრულობს პასუხისმგებლობას — არც პარტია, არც საზოგადოება, არც პიროვნება!

შევარდნაძემ ამ თვალსაზრისით საჭირო გაკვეთილი ჩავვიტარა!

სამეგრელოში ამასწინანდელი ვიოაქის — ამ ძნელი, საშინელი, ლამის მთელი ჩვენი ეროვნული ცნობიერების მაკომპრომეტირებული ვიოაქის დროს, ხალხთან შეხვედრისას, შევარდნაძემ ყველაფრის გამო, რაც საქართველოში მოხდა და ხდება, პირველ რიგში საკუთარი თავი დაადანაშაულა!

ეს იმ პასუხისმგებლობის გარძობის გაგარტელებაა.

ან ვინმე მისი „წინაპარი“ ყოველი შედეგის გამო ადანაშაულებდა

რაკი შევარდნაძეზე ჩამოვადგე სიტყვა, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ შენი მშვენიერი გაზეთი ყოველთვის სწორად ვერ აშუქებს მის პიროვნებას! ვიცი მე ისტორიაში პიროვნების როლზე რაღაც-რაღაცები, ასე რომ, არ არის ამ თემაზე ჩემთვის დაუსწრებელი ლექსის კითხვის საჭიროება. საჭირო და აუცილებელი ერთი რამაა — ახლა, როცა ბევრ ტანზე, განსაკუთრებით ჩვენი საზოგადოების უბირი ნაწილს, ბოლომდე არა აქვს გააზრებული ამ კაცის განუზომელი მნიშვნელობა სადღესობა, თქვენ — ნოდარმა, ნოდარმა და კომპანიამ — არაორაზროვნად უნდა დაუჭიროთ მხარი მის ბრძოლას საქართველოსათვის. თქვენ კი, არც ისე იშვიათად, გადაკრულებით, მიკბულ-მიკბული ფრაზებით, ასოციაციებითა და უაღვილო მინიმუმებით (ეთქვით, დიქტატურაზე...) ისე-დაც თავზე ხარულად ხალხს საბოლოოდ უმღერებთ ტყინს...

გამილო მსოფლიო ოკეანეში! კი ბატონო, იქ ეს საქმე გადავადართო მარჯვე და მამაც კაპიტანებს — ეჭვიც არ მეპარება, ასეთი კაპიტანი ბევრი გამოჩნდება მაღალნიჭიერ საქართველოში! მაგრამ ჭრჭირობით ჩვენ, კაპიტანებს, პაერივით გვეჭირდება შევარდნაძისნაირი ლოცვანი — მსოფლიო სახელის მქონე დიდი ზღვაოსანი, რომელსაც პირატებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს, სხვათა შორის... და რაკი ნოდარმა, ნოდარმა და კომპანიამ ჩემსაღი და ჩემზე უკეთ იცის ეს ამბავი, არაფერს არ ტუნდა ანაცვალონ კომპარატივა, რომლის დაფიქრებამ შესაძლოა ჩვენს ეროვნულ ზომილდს გეზს სწორედ იმ საბედისწერო წყაქვეშა კლდეებისკენ ააღებინოს!

რაკი საკუთარ გვარსახელზე დროებით უარს ვამბობ, წერილის ფსევდონიმს მოვამწერ და ვიქნები თუნდაც

მაშინაც (რბილად რომ ვთქვა) მიკითხებდნენ, რისთვის დაბეჭდეთ?

ბატონო „მნათე“, ეს თქვენ ალბათ არ გეხებათ, მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ ბატონ შევარდნაძეს ჩვენგან ხშირად ის ხალხი „იცავს“, რომელთაგანაც ჩვენ იგი მისი სახელის ისტორიული ლანდლის ვაშს დავიცავთ...

ამ კაცთან ქულების დაწერა ისევ ჩვენი ლანდლით სურთ, ბევრი რამ ხდება ქვეყნად, უცნაური ჩემო „მნათე“ თუ ზორაციო...

პირადად თქვენ კი, რაკი გვხვოვთ არაორაზროვნად დაუჭიროთ მხარი მის ბრძოლას საქართველოსათვის, ეტყობა ეჭვი გეპარებათ, რომ ეს ასე არ არის, რომ ჩვენ ხალხს ტყინს ვუმღერებთ. არა ბატონო, ასეთ პარადოქსულ თავგებობას ჩვენ არ გამოვიჩინებ, ჩვენ მხარს ვუჭერთ არა შევარდნაძეს, არამედ საქართველოს, რომელიც დღეს დასუსტებულია, ავადმყოფი საუკეთესო მკურნალს ეძებს, შევარდნაძეზე უკეთეს პროფესიონალ მკურნალს კი მე დღეს ვერ ვხედავ.

ინფორმაცია

ჩვენი გაზეთის სტუმარი ჩხორაწყუს ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი ბატონი გოგი სორდია. იგი სამეგრელოში მიმდინარე ცნობილი პრობლემების შუამდგომლობებს და ამდენად, ბატონ გოგის ბევრი რამ აქვს სათქმელი სრულიად საქართველოსათვის.

— ბატონო გოგი, რას იტყვით ჩვენთვის უცნობი, 9 ივლისს ჩხორაწყუ-წაღენჯისის გზაზე მომხდარი ვანდალური ფაქტის შესახებ?

— მე ვიტყვი, რომ ბატონი სანდრო კახიასა და მის თანმხლებ პირებზე თავდასხმა იყო წინასწარ განზრახული აქტი. ამაზე მეტყველებს მათი ჩასაფრების ადგილმდებარეობა, რამეთუ მოკლევნობა გავგარკვია, რომ შემთხვევის ადგილიდან თვალმხსნელებს ავტომანქანები ელოდებოდათ 10—12 კილომეტრის სიხლოვეს, რადგან ამ გზას აკონტროლებდა სახელმწიფოს საჯარისო ფორმირებები. ზუსტად უცნობია, მაგრამ მოვლენები ცხადყოფს თუ ვინ უნდა ყოფილიყო თავდასხმის მსხვერპლი. ერთი რამ ცხადია, სანდრო კახიასი ვიზიტი ჩხორაწყუში წინა დღით იყო ცნობილი საზოგადოებისათვის.

მთავარი ექიმის დაკითხვისას გაიკვია, რომ ბანდიტები დილის 8 საათიდან ელოდნენ მათთვის სასურველ „ნადავლს“. ერთი რამ აღსანიშნავია, თავდასხმის დროს ერთ-ერთი მომხდარი საგან ითქვა, — „მოსაწყობი მიკალით, დანარჩენი წამოიყვანეთო“, ამას ადასტურებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ყანაში გასული გლეხი. შედეგიდან გამომდინარე, მოსაკლავ პირში ისინი გულისხმობდნენ გამგეობის თავმჯდომარის კანდიდ გოგუს. მანქანაზე თავდასხმის შემდგომ მანქანაში გაჩნდა ცეცხლი და მიტყველებულს ხელფეხები დაწვევარი აკვს. ვერაფერით უცნობია კანდიდ გოგუა გარდაიცვალა მანქანაშივე თუ შემდეგ დაუმატეს ტყეში დაჭრილს

— მოსაწყობი რას ამბობდა მომხდართან დაკავშირებით?

— ფართო მსჯელობის საგანია არ გამხდარა ეს ტრაგედია, რადგანაც ადგილობრივი მაცხოვრებლებს ეშინიათ

გამოხატონ აღმფრთხილება და გულისწყრომა.

— რა იმის ბატონი სანდროს შესახებ?

— მოსახლეობაში არის მითქმამოთქმა, რომ თითქოსდა სანდრო კახიასი იმყოფება ლუგვლას ხეობაში, სოფ. მუხურში, აგრეთვე ზუგდიდის ტერიტორიაზე. ოფიციალურად ზუსტი ინფორმაცია არა გვაქვს, მაგრამ ჩემის აზრით სანამ სამხედრო-საჯარისო ფორ-

ლებული ჯგუფები პოლიციის სახით ყოველივე ამის ორგანიზაცია თავის თავზე უნდა აეღო შს მინისტრს. ამ მიზნის მისაღწევად მოსახლეობა მზად იყო საკუთარი სახსრებით კი გაეღო, მაგრამ რეალურად ეს ვერ მოხერხდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შსს სამინისტრო

ანებს. ამ უსუსტის რეკლამა შედეგად ხელისშეწყობა დღე გვიჩვენებს.

— მთიანეთში იქცეოდნენ არაკვალიფიციურად რეალური საფრთხის წინაშე, თუ უბრალოდ გაწარმულ ბრძოლას გვაქვს საქმე?

— ერთიც არის და მეორეც. არიან ისეთი ოპორტუნისტები, რომელთა გამოსვლაში ბევრი რამ იყო პოზიტიური და ყურადსაღები.

ილ-წილი, მალი მილიციის ქვედანაყოფები შემოკლდნენ. ალბათ, ამ წერილის გამოქვეყნების დღეს, პარასიკესს ეს უკვე ფაქტი იქნება. იმდენ გვაქვს მილიციელთა კეთილსინდისიერებისა. ამასთან, უნდა დავგვეხმაროთ, რათა ჩვენი შეგქმნათ ჩვენი ძალეებით პოლიცია და ადგილზე ჩვენს თავს თავადვე მივხედოთ, თორემ ბანდიტები კვლავ დათარეშდებიან. ამ ორი-სამი დღის განმავლობაში ისევ მოხდა ბანდიტური ჯგუფების ძალთა კონცენტრირება. შესაძლებელია მილიცია ვერ გაუმკლავდეს მათ მოსალოდნელ თავდასხმებს და ამით მოქმედონ ისევ საფუძველი საჯარისო ფორმირების შეყვანას რეგიონში. ეცადეთ აი, ეს ავიცილოთ თავიდან.

სხვა გზა არა გვაქვს

პირებები გავიდოდნენ სამეგრელოდან სანდრო კახიასი და მტყვევებდნენ ერთად იმყოფებოდა იგივე ლუგვლას ხეობაში.

— თუ გვადამოწმა ვინმე პრაქტიკულად ეს ინფორმაცია, ჩავიდნენ თუ არა იქ?

— ჩვენ ასეთ ოპერაციას არაფერი გვითანხმებს.

— როგორ მოხდა „მხედრონის“ შემოსვლა ჩხორაწყუს და საერთოდ რეგიონში?

— ადგილობრივი მმართველობა წინააღმდეგ იყო რეგიონში ამა თუ იმ სახელმწიფო საჯარისო ფორმირების შესვლისა, რადგან მათი კომპეტენცია არ არის ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლა. მით უფრო, ჩვენ არა გვაყავს ერთიან სარდლობას დაქვემდებარებული ერთიანი ჯარი. ცალკეული შენაერთების არსებობას კი რა შედეგც მოაქვს ამას ყველა კარგად ხედავს. ეს ყველაფერი ითქვა მხედრონის რეგიონში შემოსვლამდე ჩემს მიერ სახელმწიფოს საბჭოს სხდომაზე.

— რა გამოსავალს ხედავთ ტყეში გასული შეარაღებული ხალხისგან მოსახლეობის დასაცავად?

— უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხდეს მილიციის მუშაობა. სათანადო აღჭურვილობით და სათანადო ანაზღაურებით გათვალისწინებით უნდა შექმნილიყო ყველა რეგიონში ადგილობრივთაგან დაკომპლექტებული შეიარა-

თავად არის მისახედი და ფეხზე წამოსაყენებელი.

— იყო თუ არა „მხედრონისაგან“ მოსახლეობის შევიწროების ფაქტები მათზე თავდასხმამდე?

— წალენჯიხაში მომხდარ თავდასხმამდე მხედრონელები იმყოფებოდნენ ჩხორაწყუს რაიონში. მოსახლეობა პირველ ეტაპზე სიმპატიითაც კი ვაინაცვო მათ მიმართ. მათში ისინი ხელდავდნენ სიმშვიდის დამამკვიდრებელ ძალას. ამ პერიოდში ჩვენი მონაცემებით მოსახლეობის არავითარ შევიწროებას არ მქონია ადგილი.

— რამ ათბულთა წალენჯიხის რეგიონში?

— წალენჯიხის მოვლენების შემდგომ, ჩხორაწყუშიც ადგილი მქონდა მოსახლეობის მარცხის ფაქტებს.

— რამ ათბულთა წალენჯიხის რეგიონში?

— გასაგები მიზეზის გამო მოხდა ეს. მოსახლეობა იქნა დატერორებული და გაძარცვული, შურისძიების მიზნით.

— თვით აზრის პროცესს რომ არ მჭავდა ორგანიზატორი და ეს პოლიტიკური აქტაც რომ არ იყო?

— არა, არა მგონია.

— ბატონო გოგი, როგორ აღიქვა მოსახლეობამ ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩასვლა რეგიონში?

— მე ვიტყვი რომ პოზიტიურად. სახელმწიფოს ხელმძღვანელებისგან მოსახლეობა მოელოდა სიმშვიდის აღდგენას, გაორებული ადამიანების გამოთლი-

— თქვენ სახელმწიფოს წარმომადგენელი ხართ ადგილზე, რომ არ დგებართ ყოველდღე რეალური საფრთხის წინაშე?

— ბუნებრივია, როდესაც სახელმწიფოში სიმშვიდის გარკვევა იარაღითაც ხდება, არსებობს ამის რეალური საშიშროება.

— პოლიციის გარკვევა მხოლოდ დილოგის გზით უნდა ხდებოდეს.

— დაჯი უნდა გყავთ?

— სამწუხაროდ, არა.

— რამდენა თქვენი ხელფასი?

— ხელზე ვიღებ 2500 მანეთს.

— ყოფნით გამგებლებს ეს ხელფასი, მაშინ, როცა თვეში სამ-ოთხჯერ თბილისში ჩამოსვლა ვიხდებით, სხვა პრობლემებიც ვთვით, სოგარეთის ყიდვას მაინც თავი რომ დავანებოთ.

— არა, არ გყავს. ბუნებრივია, ამის გამო ბევრი ანგარებაზეც მიდის.

— თქვენ?

— ჭრჭირობით, კვლავ ოჯახის კმაყოფილე ვარ.

— პირადად მე, თქვენი, როგორც ახლავს რაც კაცის ბატონისგანაში ეჭვი არ მეპარება, ეს კითხვა მხოლოდ იმიტომ მოგეცით, რომ საზოგადოებამ იცოდეს სოციალური მდგომარეობა ყველა ფენისა, დაგუბრუნდეთ საუბრის თემას, დღეს რა ვითარებაა რეგიონში?

— პირადად ჩვენს რაიონში მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. როგორც ხელისუფლების შედა ეშელონში

ნუთუ არ არსებობს ტყეში გასული ხალხის შემოღობვის გზა, ისინი რომ ჰართვლები არიან და მათვე მუშაობები და ნათესავები წარადგებიან საბოლოოდ ამ გაუთავებელი ურთიერთ კონფლიქტის ბრძოლაში?

— ჩვენ ყოველნაირად უნდა ეცადოთ მორიგებისა. არიან ამ ჯგუფებში კატეგორია ადამიანებისა, რომელთაც მოსწყინდათ უაზრო ცხოვრება — ზოგიერთები ბანდიტურ ჯგუფებს მიეკვლინენ შურისძიების მიზნით, ზოგს ძმა მოუკლეს, ზოგს ბიძაშვილი, ზოგს მეგობარი და ა.შ.

— გამომდინარე აქედან, ისინი პოლიტიკური მიზნით არ იბრძვიან. დაუყონებლივ საჭიროა პოლიტიკური ამინსტის გამოცხადება და მშვიდობიანი მოლაპარაკების კვლავ დაკვლავ მცდელობა.

— მაქვს ინფორმაცია, რომ ამაზე ბევრი მითგანი წავა. ჩვენ ხომ ერთი და იგივე ხალხს პირისუფალი ვართ. გაედა დრო და ჩვენმა შეილებმა ერთად უნდა იცხოვროს. ნუთუ მათთვის ამ საშუალების მოსაპოვებლად დანაშაული არ არის როგორც ჩვენს რაიონის, ისე მთელი საქართველოს წინაშე?

— მომავალი არჩევნებისთანავე თქვენი რაიონის მოსახლეობის დამოკიდებულებაზე რას იტყვით?

— არჩევნებზე იქ საერთოდ არ არის ლაპარაკი.

— ბოიკოტს უცხადებენ?

— არ ვიცი, უბრალოდ, მათ ამაზე ფიქრისათვის არ სცალიათ, იქ მომხდარი ამბების გამო. ჩემის მხრივ ყველაფერი მინდა ვიქონო, რათა არჩევნების უცვლელობაში დავარწმუნო მოსახლეობა. სხვა გზა არა გვაქვს.



ბაზემი „საქართველოს რესპუბლიკის“ ამ წლის 18 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ბატონი ვიქტორ ციციანი „სისხლიანი პარაკეტის“ ამ წიგნის ავტორი მკითხველს მოუთხოვს თავის მრგონებებს და შთაბეჭდილებებს 1956 წლის 9 მარტს თბილისში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის შესახებ.

თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ ჩემი მიზანი არ გახლავთ ხსენებული წიგნის ავტორიანობის გარჩევა ან მისი თავგამოდებული დაცვა, — მით უმეტეს, რომ მასში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას და ნახმარ გამოთქმებს არ ვეთანხმები. არც ბატონი ციციანის წიგნის კრიტიკული წერილის სრული ანალიზის ჩატარებას ვაპირებ, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ჩემი მიზანია ბატონ ნათაძის წიგნი აღწერილი და ბატონ ციციანის წიგნის მიერ ვაკრიტიკებული ერთ-ერთი ეპიზოდის უტყუარობის საკითხს მოვხიზნო. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებ, ჭეშვარიტობით კი მოკლედ შევხებო. იმას, თუ რა შიშა ბატონ ციციანის წიგნის წერილის არსი: მას ვეტი ეპარება ბატონ ნათაძის წიგნი მონათრობი ეპიზოდების კეშმარტებში, უფრო მეტიც, — აშკარად არ სჯერა ავტორისა და ბრალს სდებს მას მომხდარი მოვლენების აღწერისას მათ წინასწარგანზრახულ გამოქუბებასა და გაზვიადებაში. „რვაში საღამოს მოსკოვში მიიღო გადაწყვეტილება თბილისში მასობრივი ხფრეტის მოწყობის შესახებ“, — მოაკვს წიგნიდან ციტატა ბატონ ციციანის წიგნის და შემდეგ ირონიულად დასძენს: „როგორც ჩანს, ვიდაცას ნ. ნათაძისთვის არა მარტო პოლიტიკოსის საიდუმლო დადგენილება უცნობებია, არამედ აქციის ჩატარების

ოპერატიული გეგმაც გაუნდვია“. ბუნებრივია, რომ ბატონ ნათაძის ხსენებული გადაწყვეტილების არსებობის დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს, ეს მისი ვარაუდი და დიხაც სამართლიანი (თუმცა რაღა ვარაუდი მას შემდეგ, რაც 9 მარტს თბილისში მოხდა) ჩემის მხრივ

ლი დამაწერინა. ბატონი ციციანი შვილი ბრძანებს: „ახლა მოვისმინოთ ნათაძის იმპროვიზაცია ტანკების „ცელქობის“ შესახებ. სროლის შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე 5-8 ტანკი შემოსულა. გაფანტულან და ასეთი მოქმედება დაუწყიათ: „დადგება ტანკი, ცალი დამუხრუჭებული მუხლუნის გარშემო დატრიალებდა მთელი სისწრა-

ლისის 51-ესკოლის მე-10 კლასის მოსწავლე, 1956 წლის 9 მარტს ღამით, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ვიდეკი და საკუთარი თვალთ ვნახე ყოველივეს, რაზედაც ბატონი ნათაძე მოგვითხრობს ამ ეპიზოდთან დაკავშირებით და რასაც ბატონი ციციანი წიგნი ირონიულად ტანკების

ბატონ ნათაძის მონათრობის კრიტიკოსს — ბატონ ციციანის წიგნს და მის კეთხლსინდისიერებას. მიუხედავად იმისა, რომ წერილის ბოლოს ბატონი ციციანი შვილი რამდენიმე საქებარ სიტყვას იმეტებს წიგნის ავტორის მიმართ, მთლიანობაში წერილი გაკლენითილია იმგვარი სულისკვეთებით, რათა მკითხველი ბატონ ნათაძის წინააღმდეგ განაწყოს, დაამცროს და აბუჩად აიგდოს მისი პიროვნება. ამ მიზნის მისაღწევად წერილის ავტორი არც ყირინოსკისა და ბარონ მიუნშაუზენის მოხსენიებას თაკილობს.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ბატონ ციციანი შვილის წერილში აშკარად იგრძნობა ავტორის სურვილი რამენაირად შეარბილოს, შეამსუბუქოს თბილისის ტრაგედიის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების სიმძიმე, სწორედ ამაში გახლავთ ამ კრიტიკული წერილის მავნე არსის ერთ-ერთი მხარე და შემოთ ამიტომაც გამოთქვი სურვილი მისი საფუძვლიანი გარჩევის აუცილებლობის შესახებ. ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ უნდა ბატონ ციციანი შვილის მკაცრი სინამდვილის შელამაზება?

ჩრება შთაბეჭდილება, რომ ბატონმა ციციანი შვილმა თავისი წერილით ამჯერადაც ისეთი „სოციალური დაკვეთა“ შეასრულა, როგორც ადრე, — როდესაც 1989 წელს „ლიტერატურული საქართველო“ ფურცლებზე გააკრიტიკა ერთგული მოძრაობა და მისი დიდებულები. მაშინდელი დამკვეთის ვინაობა საყოველთაოდ ცნობილია. ამჯერად კი ვის დაკვეთას ასრულებს ბატონი ციციანი შვილი? „საკითხავი აქ ეს არის!“

ვანო ყვავილაშვილი

ერთი უპარტიზოლო კრიტიკის გამო

(ვასუხი ე. სისკარიუვილს)

მსურს ვკითხო ბატონ ციციანი შვილს, ნუთუ მას მართლა ეჭვი ეპარება იმაში, რომ 9 მარტის აქცია სწორედ რომ მოსკოვში, კრემლში იყო პოლიტიკოსის მიერ დაგეგმილი და შემდეგ საბჭოთა, ძირითადად რუსი ეროვნების ჯარისკაცების მიერ გულცივად და სასტიკად შესრულებული? თუკი ეს ასე არ იყო, მაშინ იქნებ გვიპასუხოს ბატონმა ციციანი შვილმა (რამეთუ იგი, როგორც ჩანს, ბატონ ნათაძეზე კარგადაა ამ საქმეში ჩახედული), სად და ვის მიერ იყო იგი დაგეგმილი? აშშ-ს სადაზვერუო სამსახურის მიერ ხომ არა? ვეჭვობ, რომ ამ კითხვას ბატონმა ციციანი შვილმა სადად მოაზროვნე ადამიანისათვის მისაღები პასუხი გასცეს. მაშინ რაღაში ედავება იგი ბატონ ნათაძეს? მისი ვარაუდი ხომ ერთადერთი და სწორია!

ფით და მერე უცებ მოწყდება ადგილს, მთელი გაზით, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიმართულებით და ბრბოში იჭრება“ (გვ. 22). ხომ წარმოგიდგინია, მკითხველო, „მთელი გაზით“ ბრბოში შეჭრილი ტანკი რამდენ ადამიანს გადათელავდა?! მაგრამ ავტორის ფანტაზია კი და შრეტილა და მხვეგრბლის შესახებ ცნობას ვერ გვაძლევს. რატომ „თხზავს“ ბატონი ნათაძე მოვლენებს?“

„ცელქობას“ უწოდებს მხვეგრბლი იქ მართლაც არ იყო (ყოველ შემთხვევაში, მე არ მინახავს) და ეს ფაქტი მარტივად იხსენება: ტანკის მასა რამდენიმე ათეული ტონაა, მისი ასეთი დიდი ინერტულობის გამო (რავინდ დიდი სიმძლავრის ძრავიც არ უნდა ჰქონდეს) ზემოაღწერილი მანევრების შესრულებისას ხალხი მაინც ასწრებდა მისთვის თავის არიდებას. ხაზს ვუსვამ: ხალხი ასწრებდა, თორემ ტანკი ცდას არ აკლებდა, რომ ხალხი გადაეთელა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ტანკიდან არ უსვრიათ.

ახლა მოგახსენებთ იმ ჩემს ძირითად სათქმელს, რამაც ეს წერი-

ბატონი ციციანი შვილის ამ კითხვას მე, როგორც მკითხველმა, მინდა ვუპასუხო, ოღონდ მგონია, რომ ეს პასუხი მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდება, ალბათ, უსიამოვნოც, ყოველ შემთხვევაში ერთ რამე ცხადია, რომ კითხვა ასეთი პასუხის მიღების მიზნით არ იყო დასმული... მაშ ასე: დვთისა და ადამიანების წინაშე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მე, ვანო ყვავილაშვილი, იმხანად თბი-

ამრიგად, ჩემთვის საეცებით ნათელია, რომ ბატონ ნათაძის მიერ აღწერილი ეს ეპიზოდი სრული კეშმარტებაა და, ამრიგად, ბატონი ციციანი შვილი მას ცილის სწამებს „იმპროვიზაციაში“ ანუ, მოცემულ შემთხვევაში სიყალბეში. მიუკერძოებელმა მკითხველმა ეჭვის თვლით უნდა შეხედოს არა

საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა

სახალხოფრონტი სუვერენიტეტის ხელყოფა შეიძლება მრავალნაირი ფორმით მოხდეს. ამიტომაც მისი დაცვა ხელისუფლებისაგან კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში შემუშავებული იქნა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნორმები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ამდენად მათი დარღვევა არის პარტნიორი სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვა, მისი შეურაცხყოფა. საკუთარი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტზე და პრესტიჟზე მზრუნველი ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება მისი ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფაზე აუცილებლად ახდენს სათანადო რეაგირებას და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას მიამყრობს აღნიშნულ ფაქტს.

ჯერ სსრკ-ს შემდეგ კი CHH-სა და რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, აგრეთვე ოფიციალური პირები, როგორც ზეპირი გამოხვედბისას, ისე ოფიციალურ დოკუმენტებში, ხმარობენ ყოვლად გაუმართლებელ ტერმინებს („სამხრეთ ოსეთი“, „სამხრეთ ოსეთის პარლამენტი და მთავრობა“, „ხნაურის რაიონი“, „ლენინგრის რაიონი“ და მრავალი სხვა), რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის რეალურ მდგომარეობას, უფრო მეტიც, აღნიშნული ტერმინების ხმარება, არის მცდელობა მხარი დაუჭიროს და გაამართლოს იმ სეპარატისტული ძალების მოქმედება, რომელთა მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ეს კი არის უცნო ქვეყნის საქართველოს შინაურ საქმეებში უხეში ჩარევა და აუცილებლად მოითხოვს პასუხის გაცემას.

საქართველოს სახალხო ფრონტი აუცილებლად მიიჩნევს შესაბამისი ოფიციალური ინსტიტუტების მხრიდან სათანადო რეაგირებას ამ და სხვა მსგავს ფაქტებზე.

რუსი მიღის

გულითადი მეგობრები, ალალი, გულმოდრინად მიგებოდა... — მეზღვარებს ვაჭმედი, სახლიდან მიგეკონდა საჭმელი, ხშირად მალულად, გვეცოდებოდნენ, აფიცრები საჭმელს უმალავდნენ... ბოლოს ძალი დაკლეს და... სალდათებმა ქაფეს. ექვსიდან ორს არ უჭამია... — აფიცრება თქვა: ქართველები ხალხი არააო, გაგველაბა გვინდოდა... ასეა თუ ისე, მიღის რუსის ჯარი. მიუხედავად იმ ზიანისა, რაც მოგვაყენებს, მაინც გზა დაგულოცოთ წამსვლელს, წასვლა სჯობს წამავალისაო; ხომ გაგიფიცა.

მაგრამ ერთია, მიღის რუსი, მიღის და... ტოვებს გაპარტახებულ გარემოს, განადგურებულ ტექნიკას, ორი „ბმპ“, რომელიც მოუვლელობის გამო კარგად ვერ მუშაობდა, გადააბრუნეს, დატეხეს და ჯართად აქციეს. ტექნიკური აპარატურა, რომლის გატანა ვერ მოხერხდა ან მოძველებულად ჩათვალეს (რაც ვერ გაყიდეს) განადგურეს. ეს რაა, შენობებს სახურავები ახადეს და... ნანგრევებდა აქციეს.

ზრისით, რომელიც 1870 წელს იღებს დასაბამს, იავარქმნეს და მაინც... გველირსა რუსი მიღის... როგორც მოვიდა — ნგრევით, ძალით, ხიშტით, შეურაცხყოფით... ისევე მიღის...

გვერა, აქ მალე ქართული საზღვაო სათვალთვალო ნაწილები დაიდებენ ბინას... მორიხისპირელი ბოლოთქმა: წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა მივიღეთ ინფორმაცია, რომ სამხედრო საწარმო დაცვის ეს ნაწილი აპირებს თან წარიტანოს შვიდი მძობრავი ელექტროსადგური, რაც ჩვენ საქართველო რესპუბლიკის ქონებად მიგაქნია.

ხელგანაურის სახალხო ფრონტის გაზეთი „მაჭახედა“. 9 ივნისი, 1992 წ.



ნახატი მურთაზ აბაშიძისა

პოეტის ერთი კუბლიზისტური ლექსი

ბალათერ არაბული:

კვლავ ქართველი კვლავს ქართველს

I
მამული ლამის ხელიდან გვეცლება და როცა ერთად დგომა გვმართებს, (ვაი, სირცხვილო და ვაი, უმეცრე-ბავ!) ქართველი არ ინდობს ქართველს...

ბოროტად სისინებს ნასროლი ტყვია, (ვის ახსოვს ერთად დგომის ფიცი!) მშობლიურ სამეგრელოს სისხლი უკიდა, მთლად საქართველო იწვის...

ჭრილობა ეხსნება ბაზალეთს, — გულს ზარავს დღეს ზიზღი მოძმეთა; ზეცა იბზარება და მიწა ზანზარებს და მზის სხივებიდან კვლავ სისხლი მოწვეთავს...

ჩვენ ჩვენი ცოდვებით უფალთან შე-
ვცოდეთ,
ცოდვებით მოვედით დღემდე,
მაღლ ღმერთი განსჯის ამ მწარე
შეცდომებს
სისხლისღვრის მიზეზს და შედეგს...

სიკვდილს კი თვალები ბოროტად
უელავს,
მტერსაც უხარია თუ ერთად გავწე-
დებით;
ამ ომში გამარჯვებას ნუ ელით,
ამ ომით ყველანი ემარცხდებით!

II

შხამის თახებიც დავცალეთ, სისხლის ღვარებიც ვღვარეთ, ვერ გადავურჩით ბაზალეთს, — ჩვენი დაცემის ღამეს...

ქვეყნის ოთხივე მხრივ წავედით, იმპერიებიც ემართეთ, ვერ გავექვეცით მწარე ბედს: კვლავ ქართველი კვლავს ქარ-
თველს!...

ჩემო ამაყო ჯილაგო, დაუგეშავო ჯიშო, არ ვიცი, შენით ვილაღო, არ ვიცი, ვივიშვიშო?!

წამოფაფრულო საომრად, ძმათა გამყოფო სისხლო, არ ვიცი, შენზე ვილოცო, არ ვიცი, დაგარისხო?!

ეს რა ეშმაკა დაგწვევლა, მხარს რა სიკვდილი გაზის, ან ბედად ვინ დაგაწერა გზა მწარე სილამაზის?!

სიონში ვრეკეთ ზარები, ღმერთთან სანთლები ვანთეთ, ვერ გავექვეცით მწარე ბედს: კვლავ ქართველი კვლავს ქარ-
თველს!...

ფომერსანტაჟის, სავარმო-დაწესებულებების, ფირმებისა და კერძო პირთა საჩუქრად

თუ გსურთ გარანტირებული იყოს თქვენი ტვირთების უდანაკარგოდ და შეუფერხებლად გადაზიდვაში რკინიგზის ტრანსპორტით, რომელიც დღეს ყვე-
ლაზე უფრო მომგებიანია სატრანსპორტო საშუალებათა შორის, მიმართეთ საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურს, ერთადერთ ოფიციალურ სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია უდანაკარგოდ გადაიტანოს თქვენი ტვირთი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ საქართველოს ნებისმიერი საწყისი პუნქტიდან ყოფილი საბჭოთა იმპერიის ნებისმიერ ბოლო პუნქტამდე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, (რკინიგზის სამ-
მართველოს შენობა მე-4 სართული), ელსმენი: 99-47-25, სადღეღამისო: 95-
20-47, 99-47-75.

მავ ასე! თქვენი სურვილი, ჩვენი საქმე!

რეკლამა, რეკლამა, რეკლამა

უიშვილობაა ბიჭო,
უიშვილობა! სწრაფ-სწრაფად
რომ ყოაპავ მავ ლოუაბებ
აგლახავა პირში
სოცა!



ფირმა

«მარკო»

გიწვევთ სამოგზაუროდ
ჩინეთში — ბათუში
— ხაბაროვსკი —
ხარბინი — ბათუში

მოგზაურობის ღირებუ-
ლება — 190 ამერიკული დო-
ლარი და 20 ათასი მანეთი,
რომელშიც გათვალისწინე-
ბულია ყველა ზარები ბათუ-
მიდან ბათუმამდე.

გარდა ამისა ჩვენთან შე-
გიძლიათ შეიძინოთ
საგზურები შემდეგ კუ-
რორტებზე:

ქობულეთი, ბორჯომი,
ფასანაური, ცინისძირი.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას
გამზირი 45, მე-13 სართული,
პირველი ოთახი (მეტრო „დე-
ლისთან“ — „საქსოფმშენის“
მადლივი შენობა).

ტელეფონი: 31-47-76

ბორჯომის საგზურების
შემქნა შეგიძლიათ: ქ. ბათუშ-
ში, რკინიგზის ვაგზლის შე-
ნობაში საკომისიო ვაჭრობის
მალაზიაში „გვანცა“-2-ში.

ბასნოკაბა

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის
ანონსში პროზაიკოსი ზაურ კა-
ლანდია ტექნიკური თანამშრომ-
ლის დაუდევრობით მოხსენიებუ-
ლია პოეტად. ამ გაუგებრობის
გამო რედაქცია ბოდიშს იხდის.



ნახატები მ აბაშიძისა